

წყალი: ფასის რეგულირება, საბურთალო აღრიცხვა და დანაკარგები



"NARUC"-ის საპარტნიორო პროგრამა ენერგორეგულირების სფეროში

*საქართველოს ენერგეტიკის და წყლის მარეგულირებელი ეროვნული კომისია
და
ვერმონთის კომუნალური მომსახურების საბჭო*

*ავტორი
კომისიონერი ჯონ ბარჯი
ვერმონთის კომუნალური მომსახურების საბჭო
2009 წლის 1 ივლისი*



შინაარსი

- ❖ აშშ-ს საუკეთესო მარეგულირებელი პრაქტიკები: კაპიტალის მოზიდვის ხელშეწყობა, ეკონომიკის განვითარება და ეფექტური ოპერირება
- ❖ გაუმრიცხველიანებელი მომხმარებლებისთვის ტარიფების დადგენა
- ❖ ვერმონტის დაბალ პროცენტიანი სესხების პროგრამა საწარმოებისათვის
- ❖ შესაძლებლობები, როდესაც მომხმარებლები წყლის საფასურს არ იხდიან



აშშ-ს საუკეთესო პრაქტიკები

- ❖ ინფრასტრუქტურაში ინვესტირების წახალისება
- ❖ შეძენაზე შესწორებების გამოყენება კონსოლიდაციის წახალისების მიზნით
- ❖ გაყიდვებიდან მიღებული შემოსავლების “გადანაწილება”
- ❖ მომხმარებლების დახმარების პროგრამები



ინვესტიციების წახალისება

- ❖ "მარეგულირებელი ლუფტის" შემცირება და კაპიტალზე უკუგების დროულად მიღების შესაძლებლობის მიცემა
 - კაპიტალზე უკუგების დროულად მიღების შესაძლებლობა ძალიან მნიშვნელოვანია კაპიტალის ყველაზე ხარჯ-ეფექტური განაკვეთებით და მშენებლობისა და კაპიტალური ინვესტიციების დროულად და ეფექტურად მოზიდვის უზრუნველსაყოფად
 - ამის მიღწევა რამოდენიმე გზით შეიძლება; უმეტესობა მათგანი სრულმასშტაბიანი საქმის წარმოების გარეშე მომხმარებლებისთვის წარდგენილ ქვითრებში დამატებითი თანხების დამატებას გულისხმობს



განაწილების სისტემა გადასახდელი ინვესტიციაზე

- ❖ დამატებითი გადასახდელები, რომლებიც საწარმოებს ინფრასტრუქტურის განახლებაში ან გამოცვლაში განხორციელებული კაპიტალდაბანდებების მომხმარებლებისაგან ამოღების საშუალებას აძლევს, სრულმასშტაბიანი სატარიფო განხილვაზე სარჩელის შემოტანის გარეშე
- ❖ უნდა შეიცავდეს დამატებითი გადასახდელის შეზღუდვის მექანიზმებს და გარკვეულ შესწორებების პროცედურებს მომხმარებლების დაცვის მიზნით



განაწილების სისტემა გადასახდელი ინვესტიციაზე

- ❖ ამჟამად აშშ-ს რამოდენიმე შტატში გამოიყენება
- ❖ მაგალითი: პენსილვანია
 - თავიდან დამატებული გადასახდებელი შემოსავლების 5%-ით შემოსაზღვრებოდა; პროგრამის წარმატების და მომხმარებლების მხრიდან პრეტენზიების არარსებობის გამო ზღვარი 7.5%-მდე გაიზარდა
 - შემდეგი ზოგადი სატარიფო საქმის დროს ამ დამატებული გადასახადების საბაზისო ტარიფში ჩართვა მოხდება



განაწილების სისტემა გადასახდელი ინვესტიციაზე

❖ მაგალითი: ვერმონტი

- ხანდახან გამოიყენება, როდესაც ამას გარემოებები მოითხოვენ
- განისაზღვრება კონკრეტული საინვესტიციო პროექტი და მის განსახორციელებლად აუცილებელი თანხა
- ტარიფებს ემატება დროებითი გადასახდელი, რათა მოხდეს დახარჯული თანხის ამოღება



დამატებითი გადასახადი ან შესწორების ავტომატური მექანიზმი არაკაპიტალური ხარჯებისათვის

- ❖ იძლევა შესწორებების განხორციელების შესაძლებლობას არაკაპიტალური ხარჯებისათვის, მაგალითად: საწარმოს მიერ არაკონტროლირებადი გაუთვალისწინებელი ხარჯები ან ფასების ზრდა
- ❖ ამცირებს "მარეგულირებელ ლუფტს" და აძლევს საწარმოს უკეთეს შესაძლებლობას მიიღოს დაშვებული უკუგება კაპიტალზე სატარიფო საქმეებს შორის პერიოდში



დამატებითი გადასახადი ან შესწორების ავტომატური მექანიზმი არაკაპიტალური ხარჯებისათვის

- ❖ ხელს უწყობს შემოსავლების სტაბილურობას და დასაშვები უკუგების მიღების უზრუნველყოფას
- ❖ ფასების გარდაუვალი ზრდის შემთხვევაში იძლევა ტარიფების თანდათანობით გაზრდის საშუალებას, და აღარ არის საჭირო სატარიფო საქმის მსვლელობისას მათი ერთიანად დიდი თანხით გაზრდა
- ❖ უნდა შეიცავდეს შესწორებების მექანიზმებს და/ან მოთხოვნას ანგარიშგების შესახებ, რათა საწარმომ კაპიტალზე უკუგების დაშვებულ დონეებს არ გადააჭარბოს
- ❖ გამოიყენება აშშ-ს რამოდენიმე შტატში



დამატებითი გადასახადი ან შესწორების ავტომატური მექანიზმი არაკაპიტალური ხარჯებისათვის

❖ მაგალითი: კალიფორნია

- საწარმოებს სატარიფო საქმის განხილვაზე მოთხოვნა სამ წელიწადში ერთხელ შემოაქვთ; ამ შუალედებში ნებადართულია ტარიფების გარკვეული გაზრდა დაგეგმილი კაპიტალური და საოპერაციო ხარჯების შესაბამისად
- დამაბალანსებელი ანგარიშები შესყიდული წყლის და ელექტროენერჯის გარკვეული მოცულობებისთვის
- "წლის შემოსავლების შესწორებების მექანიზმი" აკონტროლებს ცვლილებებს ნებადართული ფიქსირებული ფასების ამოღებაში, თუკი ასეთი ცვლილებები კონსერვაციის ან სხვა მიზეზების გამო ხდება
- დამატებითი გადასახდელების დაწესება შესაძლებელია, როდესაც ასეთი პროგრამების ერთობლივი ხარჯი შემოსავლების 2.5%-ს აჭარბებს



დამატებითი გადასახადი ან შესწორების ავტომატური მექანიზმი არაკაპიტალური ხარჯებისათვის

- ❖ მაგალითი: კალიფორნია (გაგრძელება)
 - “სამემორანდუმო ანგარიშები” აკონტროლებენ კატასტროფული მოვლენების (მაგალითად, მიწისძვრა) გამო გაწეულ და ექსტრაორდინალურ ხარჯებს (მაგალითად, შესაბამისობა კანონთან “გადაშენების პირას მყოფი სახეობების შესახებ”, წყლის რაციონალურად ხარჯვა, წყლის დაბინძურების შემცირება)
 - ხარჯის ტიპისდა მიხედვით, შესაძლებელია დამატებითი გადასახდელის დაწესება, ან საწარმოს შეუძლია ხარჯის მთლიანად ანაზღაურება შემდეგი სატარიფო საქმის განხილვისას მოითხოვოს



მარეგულირებელ მოთხოვნებთან შესაბამისობის საკომპენსაციო დამატებითი გადასახდელები

- ❖ წყლის ხარისხის მარეგულირებელ კანონმდებლობაში ცვლილებებმა შეიძლება დაავალდებულონ საწარმოები ინფრასტრუქტურაში მნიშვნელოვანი ინვესტიციები განახორციელონ
- ❖ საწარმოებს უნდა მიეცეთ საშუალება დამატებული გადასახდელების მეშვეობით აინაზღაურონ იმ სახელმწიფო რეგულაციებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად გაწეული გონივრული ხარჯები, რომლებიც მნიშვნელოვანი ინვესტიციების განხორციელებას მოითხოვენ
- ❖ მსგავსია სადისტრიბუციო სისტემაში განხორციელებული ინვესტიციების შემთხვევისა



მარეგულირებელ მოთხოვნებთან შესაბამისობის საკომპენსაციო დამატებითი გადასახდელები

❖ მაგალითი: არიზონა

- აშშ-ს გარემოს დაცვის სააგენტომ შეამცირა სასმელ წყალში დარიშხანის მაქსიმალური დასაშვები კონცენტრაცია
- არიზონას დარიშხანის შემცველობის შესამცირებლად მნიშვნელოვანი ხარჯების გაწევა მოუწევს
- შემცირების ხარჯების კომპენსაციის შესაძლებლობა ახალ მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველყოფას ხელს უწყობს, აუმჯობესებს მომხმარებლებისათვის მიწოდებული წყლის ხარისხს და სატარიფო შოკის შემსუბუქების შესაძლებლობას ქმნის



შესწორება შეძენაზე

- ❖ აშშ-ში არსებობს სურვილი, ხელი შეეწყოს ძალიან პატარა წყლის საწარმოების პრივატიზაციას, რადგან ისინი ვერ უზრუნველყოფენ ტექნიკურ და ფინანსურ მოთხოვნებთან შესაბამისობას
- ❖ ეს საკითხი იმის მსგავსია, როდესაც საწარმოების პრივატიზაციას მყიდველების პოვნას ვცდილობთ
- ❖ შეძენაზე შესწორება სისტემების შესყიდვის წახალისების ერთ-ერთი საშუალებაა



შესწორება შეძენაზე

- ❖ უნდა არსებობდეს შესყიდვაზე შესწორების უფლება ამორტიზებულ საწყის ღირებულებასა და შესყიდვის ფასს შორის განსხვავებისათვის
 - ტრადიციული რეგულირების შემთხვევაში მყიდველს გადამხდელებისაგან მხოლოდ ამორტიზებული საწყისი ღირებულების ამოღების ექნებოდა
- ❖ უნდა უჩვენოს, რომ მყიდველი დათვლად დანაზოგებს შექმნის, გააუმჯობესებს მომსახურებას და სხვა სარგებელს მოუტანს მომხმარებლებს



შესწორება შეძენაზე

- ❖ ამ შესწორების გამართლება იმით ხდება, რომ ამორტიზებულ საწყის ღირებულებასა და საბაზრო შესასყიდ ფასს შორის განსხვავება არის სწორედ ის ინვესტიცია, რომელიც საჭიროა სარგებლის შესაქმნელად და ამ ინვესტიციას ისევე უნდა მოვექცეთ, როგორც ნებისმიერ სხვა ინვესტიციას, რომელსაც საწარმო ეფექტური და სანდო მომსახურების უზრუნველყოფის მიზნით ახორციელებს



შესწორება შეძენაზე

- ❖ ამის განხორციელების მეთოდები მოიცავენ:
 - სატარიფო ბაზაში შეძენაზე შესწორების შეტანას
 - საწარმოსათვის განსაზღვრული რაოდენობით ისეთი დანაზოგების დაგროვების უფლების მიცემას, რომლებიც დანაზოგების მისაღებად აუცილებელ ინვესტიციებზე მიღებული უკუგების ექვივალენტური კომბინაციებით მიიღებიან
- ❖ მაგალითად: პენსილვანია იძლევა მცირე და/ან პრობლემური სისტემებისთვის შეძენაზე შესწორების განხორციელების უფლებას, თუკი მოხდება გარკვეული პირობების დაკმაყოფილება



გადანაწილება

- ❖ წყლის მოხმარება შეიძლება შემცირდეს გვალვის ან წყლის დაცვის ზომების (რაც ზოგჯერ ენერგოეფექტურობის ზომებთანაა დაკავშირებული) გამო
- ❖ წყლის მოხმარების შენეება საწარმოებს ცუდ მდგომარეობაში აყენებს, რადგან გაყიდვების მცირე მოცულობებისა და მიუხედავად, ფიქსირებული ხარჯების ანაზღაურება მაინც აუცილებელია
- ❖ ისევე როგორც ელექტროენერჯის სექტორში, გადანაწილებას შეუძლია ხელი შეუწყოს საწარმოს ფინანსური სტაბილურობის შენარჩუნებას და თავიდან აგვაცილოს იმის სტიმული, რომ საწარმოებმა საქმიანობის შეჩერება არჩიონ



მომხმარებელთა დახმარების პროგრამები

- ❖ აშშ-ში წყალმომარაგება, საშუალოდ, სხვა კომუნალურ მომსახურებებზე იაფია
- ❖ თუმცა, დაბალი შემოსავლის მქონე მომხმარებლებს მაინც უჭირთ მისი ღირებულების გადახდა
- ❖ აშშ-ს შტატებს გააჩნიათ მომხმარებლებისთვის დახმარების აღმოჩენისაკენ მიმართული სხვადასხვა პროგრამა, რომელთა დაფინანსება თავად მომხმარებელთა და საწარმოთა შენატანების კომბინაციის საფუძველზე ხდება; ეს პროგრამები ხშირად სოციალური მომსახურების სააგენტოებთან ერთობლივად იმართება



მომხმარებელთა დახმარების პროგრამები

- ❖ დახმარების პროგრამების მიზნები
 - მიზნობრივი დახმარების აღმოჩენა მხოლოდ იმ ინდივიდუალური მომხმარებლებისათვის, რომელთაც ეს ნამდვილად სჭირდებათ
 - ხარჯებზე დაფუძნებული განაკვეთების და შესაბამისი ფასების სიგნალების შენარჩუნება
 - წყლის ფასეულობის აღიარების, მისი ეფექტურად მოხმარების და სათანადოდ მიწოდების დაგეგმარების მხარდაჭერა



მომხმარებელთა დახმარების პროგრამები

❖ პროგრამების ტიპები მოიცავენ:

- სიღარიბის პროგრამა – გრანტები უშუალოდ მომხმარებლისთვის წარდგენილ ქვითრებში ფიქსირდება
- ფასდაკლების პროგრამა – ყოველთვიური ქვითრის ან მომსახურების საფასურის პროცენტი
- დახმარება გადახდაში – პატიება დროული გადახდების საფუძველზე



მომხმარებელთა დახმარების პროგრამები

❖ პროგრამების ტიპები (გაგრძ.):

- შეკეთება – შეკეთებების კოორდინაცია მაღალი მოხმარების შემცირების მიზნით
- განათლება – “აგიტაცია-პროპაგანდა” კონსერვაციის და პროგრამების ხელმისაწვდომობის საკითხებზე
- დახმარების სხვა წყაროებთან გადამისამართება



მომხმარებელთა დახმარების პროგრამები

- ❖ მაგალითი: "დოლარის ენერჯოფონდი"
 - არაკომერციული სააგენტო, რომელსაც საპარტნიორო ურთიერთობები გააჩნია წყლის, გაზის და ელექტროენერჯის სფეროში მომუშავე საწარმოებთან აშშ-ს სხვადასხვა შტატებში; ახდენს დაბალი შემოსავლის მქონე პირებისათვის განკუთვნილი პროგრამების კოორდინირებას
 - www.dollarenergy.org



გაუმრიცხველიანებელი მომხმარებლებისთვის ტარიფების განსაზღვრა

- ❖ წყალმომარაგების სფეროში მომუშავე ძალიან მცირე საწარმოებს შეიძლება არ გააჩნდეთ იმსათვის საკმარისი კაპიტალი, რათა დაამონტაჟონ მრიცხველები და მათი ექსპლუატაციის პერიოდში ამ ხარჯების ამოღება შეძლონ
 - ვერმონთის ზოგიერთი საწარმო საყოფაცხოვრებო მომხმარებლებს მრიცხველებს არ უყენებს
 - საბჭო მოითხოვს, რომ საწარმოებმა მომხმარებლებს საკუთარი ხარჯებით მრიცხველების შეძენის უფლება მისცენ; თუმცა ამ უფლებით ძალიან ცოტა მომხმარებელმა (თუკი საერთოდ ვინმემ) ისარგებლა



გაუმრიცხველიანებელი მომხმარებლებისთვის ტარიფების განსაზღვრა

- ❖ იმ მომხმარებლებისათვის, რომლებსაც მრიცხველები არ გააჩნიათ, წყლის ტარიფი ფიქსირებული კვარტალური გადასახადის სახით განისაზღვრება
- ❖ საყოფაცხოვრებო მომხმარებლებისათვის, ფიქსირებული ტარიფები სახლში არსებული საძინებელი ოთახების რაოდენობის მიხედვით განისაზღვრება



ვერმონტის დაბალ პროცენტიანი სესხების პროგრამა წყალმომარაგების სექტორის საწარმოებისათვის

- ❖ ვერმონტის წყლის ხარისხის მარეგულირებელი ორგანო წყალმომარაგების სექტორის საწარმოთათვის განკუთვნილ დაბალ პროცენტიანი სესხის პროგრამას მართავს
 - მოიცავს სესხებს მშენებლობის, დაგეგმარების და წყაროს დაცვის მიზნებისათვის
 - იგი მუშაობს, როგორც ურთიერთ დახმარების ფონდი
 - <http://www.vermontdrinkingwater.org/grants.htm>



სამშენებლო სესხები

- ❖ ვის შეუძლია მიღება – საჯარო, კერძო და არაკომერციულ სისტემებს
- ❖ რომელი პროექტები ფინანსდება - ფინანსდება წყლის სისტემების გაუმჯობესებისაკენ მიმართული თითქმის ყველა პროექტი (ახალი სისტემების მშენებლობა, მათი შეკეთება, შეცვლა ან კონსოლიდაცია), რომელიც ხელს შეუწყობს სასმელი წყლის მარეგულირებელ ფედერალურ კანონმდებლობასთან შესაბამისობის უზრუნველყოფას ან მნიშვნელოვნად გააუმჯობესებენ "უსაფრთხო სასმელი წყლის შესახებ" კანონის მიერ დასახული ჯანდაცვის ამოცანების შესრულების პერსპექტივებს



სამშენებლო სესხები

- ❖ საპროცენტო განაკვეთები 3% და -3% შორის
- ❖ ვადა 20 - 30 წელი
- ❖ საპროცენტო განაკვეთები და ადმინისტრაციული მოსაკრებლები სესხის გაცემისას განისაზღვრება
- ❖ სესხის მაქსიმალური თანხა = 2 მილიონი აშშ დოლარი წელიწადში, 6 მილიონ აშშ დოლარამდე იმ პროექტებისათვის, რომელთა განხორციელებაც რამოდენიმე ფისკალური წლის განმავლობაში იგეგმება



სამშენებლო სესხები

- ❖ საწარმოები განაცხადებს წყლის ხარისხის მარეგულირებელ ორგანოს წარუდგენენ
- ❖ ყოველწლიურად წყლის ხარისხის მარეგულირებელი ორგანო პრიორიტეტული პროექტების სიას ადგენს
- ❖ მარეგულირებლებს სიაში პროექტის დამატება საწარმოს მიერ განაცხადის წარმოდგენის გარეშეც შეუძლიათ
- ❖ დაფინანსდება უმაღლესი პრიორიტეტის მქონე პროექტები, რომელთა ღირებულებაც ფისკალური წლისათვის გამოყოფილ თანხებს არ აღემატება



სესხები დადგემარებისათვის

- ❖ ვის შეუძლია მიღება – მუნიციპალური და კერძო არაკომერციული საწარმოები (მოსახლეობა 10 000-ს არ აღემატება)
- ❖ რომელი პროექტები ფინანსდება - წინასწარი საინჟინრო დაგეგმარებითი კვლევები და სპეციფიკაციები წყლის სისტემების გაუმჯობესების პროექტებისათვის, რომლებიც საჭიროა საშტატო და ფედერალურ რეგულაციებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად და საზოგადოებრივი ჯანდაცვის გასაუმჯობესებლად
- ❖ მაქსიმალური წლიური სესხის ოდენობა = 100 000 აშშ დოლარი
- ❖ სესხები გაიცემა 0% განაკვეთით ხუთ წლიანი ვადით, თუმცა ისინი შეიძლება გაერთიანდნენ სამშენებლო სესხში, ამ უკანასკნელის პირობების გათვალისწინებით
- ❖ სახსრების არასაკმარისობის შემთხვევაში მარეგულირებელი ორგანო პროექტების პრიორიტეტულობას ადგენს; ამჟამად პრიორიტეტული პროექტები განსაზღვრული არ არის



სესხები წყაროს დასაცავად

- ❖ ვის შეუძლია მიღება – მუნიციპალური სისტემები
- ❖ რომელი პროექტები ფინანსდება - მიწის ან საკონსერვაციო ობიექტის შესყიდვა საზოგადოებრივი წყალმომარაგების წყაროების დასაცავად და სასმელი წყლის ფედერალურ და საშტატო სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად
- ❖ მაქსიმალური წლიური სესხის ოდენობა = 200 000 აშშ დოლარი
- ❖ სესხები გაიცემა 3% განაკვეთით 20 წლიანი ვადით
- ❖ მარეგულირებელი ორგანო პროექტების პრიორიტეტულობას ადგენს



შესაძლებლობები, როდესაც მომხმარებლები მომსახურების საფასურს არ იხდიან

- ❖ წყალმომარაგების გათიშვა
 - საბჭოს წესების შესაბამისად
- ❖ სამართლებრივი სისტემების გამოყენება
 - მცირე სარჩელების შემთხვევაში სასამართლოს შეუძლია ურჩი გადამხდელი ქონების დაყადაღება
 - დაბრუნება: გამოიყენება მხოლოდ ზოგიერთ სიტუაციაში და დაყადაღებული თანხის გადახდა შეუძლებელია, სანამ მომხმარებელი საკუთრებას არ გაყიდის



შესაძლებლობები, როდესაც მომხმარებლები მომსახურების საფასურს არ იხდიან

❖ წყალმომარაგების თითქმის მთლიანად
გადაკეთვა და მხოლოდ წვრილი ნაკადის
დატოვება

- შესაძლებელია ნაკადის შემზღვევის
გამოყენება (წყლის მიღში იდება სპეციალური
მოწყობილობა, რომელიც ნაკადს ამცირებს)
- ეს ვარიანტი უფრო შეესაბამება
საზოგადოებრივი ჯანდაცვის მოთხოვნებს,
რადგან შესაძლებელია გტუალეტების ჩარეცხვა,
თუმცა კლიენტი იძულებულია დაფაროს
მომსახურების საფასური, თუ სურს ნორმალური
წყალმომარაგების აღდგენა



შესაძლებლობები, როდესაც მომხმარებლები მომსახურების საფასურს არ იხდიან

- ❖ ზოგჯერ წყლის გადაკეტვა შეუძლებელია, რადგან ჩამკეტი ონკანი დამონტაჟებული არ არის.
 - საწარმოს შეუძლია გააფრთხილოს მომხმარებელი, რომ იგი დაამონტაჟებს ჩამკეტ ონკანს და მის ღირებულებასაც მომხმარებელს დააწერს, თუკი იგი მომსახურების ღირებულებას არ დაგფარავს



შესაძლებლობები, როდესაც მომხმარებლები მომსახურების საფასურს არ იხდიან

- ❖ გადახდის გეგმები რომლებიც ძველი დავალიანების ნაწილის პატიებას ითვალისწინებენ, თუკი გადახდები ზემოხსენებული გეგმების შესაბამისად ხორციელდება
 - ეს შესაძლებლობა მომხმარებელს გადახდის სტიმულს უქმნის, რადგან მათი დავალიანება იმ ტანხაზე მეტით მცირდება, ვიდრე ისინი იხდიან
 - ელექტრო სექტორის საწარმოები წარმატებულად იყენებდნენ ამ სქემას ზოგიერთ მომხმარებლებთან, რომლებსაც დიდი დავალიანება დაუგროვდათ, მისი დაფარვა სურდათ, მაგრამ ფინანსური მდგომარეობა ამის საშუალებას არ აძლევდათ